N 1969-41
02/10/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ გოგსაძეს
სოფელ ზეგანში მერის წარმომადგენლის
ბესარიონ რობაქიძის

# მოხსენებითი ბარათი

როგორც თქვენთვის ცნობილია, სოფელ ქვედა ზეგნის მოსახლეობა განლაგებულია მდინარე საკრაულის ხეობაში. გიგაშვილების უბნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ცხოვრობს მდინარის გაღმა. მათ სოფლის ცენტრალურ გზასთან აკავშირებთ კიდული ხიდი, რომელზეც ტვირთით გადაადგილება ძალიან რთულია, ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელიც. მოსახლეობას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოყვანა და შემოდგომაზე მიღებული მოსავლის გამოტანა მდინარის გავლით უხდებათ, რაც ნალექის დროს მდინარის ადიდებისას შეუძლებელია. ასევე, ვერ ხერხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის მისვლა მოსახლეობამდე. აქვთ შემოვლითი გზა, რომელიც რელიეფის გამო, ვერ ნარჩუნდება და მოსახლეობა მხოლოდ კიდული ხიდის იმედზე რჩება. ამავე უბანში მდებარეობს სოფლის საერთო სასაფლაო, სადაც მიცვალებულის დაკრძალვას ჭირისუფალი მდინარეზე გადასვლით ახერხებს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სოფელ ზედა დიმის საზღვართან, მდინარე საკრაულაზე მდებარეობს ძველი ხიდი, რომელიც არ ფუნქციონირებს.

გთხოვთ, გაუწიოთ ზემოთ ხსენებულ მოსახლეობას დახმარება და აღნიშნული ხიდის გადმოტანა მოხდეს გიგაშვილების უბანში.
ბესარიონ რობაქიძე

მერის წარმომადგენელი